

საგამოცდო საკითხები/ქვესაკითხები - ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის
სტუდენტებისთვის
ბუნებრივი ნედლეულის კვლევის საფუძვლები

1. ბუნებრივი ნედლეულის და პროდუქტების ქიმიური შედგენილობა, გამოყენება ხალხურ და მეცნიერულ მედიცინაში.
2. მცენარეული ნედლეულის ბაზა ველურად მოზარდი და კულტივირებული სამკურნალო მცენარეები, მცენარეების უჯრედული და ქსოვილოვანი კულტურა;
3. სამკურნალო მცენარეული ნედლეულის დამზადების პროცესის საფუძვლები: შეგროვება, პირველადი დამუშავება; შრობა;
4. სტანდარტულ მდგომარეობაში მოყვანა, შეფუთვა, მარკირება, ტრანსპორტირება და შენახვა;
5. სამკურნალო მცენარეული ნედლეულის სტანდარტიზაცია, ნორმატიული დოკუმენტები; სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ხარისხის კონტროლი;
6. მცენარეული ნედლეულის მავნებლები და მათთან ბრძოლა;
7. ანთროპოგენული ფაქტორების ზემოქმედება სამკურნალო მცენარეული ნედლეულის კეთილხარისხოვნებაზე;
8. ახალი სამკურნალო მცენარეების ძიებისა და გამოვლინების მეთოდები: ხალხური მედიცინის გამოცდილებისა და საგანძურის შესწავლა,
9. ახალი სამკურნალო მცენარეების ძიებისა და გამოვლინების მეთოდები: გაცრის მეთოდი, ფილოგენეტიკური მეთოდი;
10. მინერალური ნედლეული –პელოიდები. მათი ქიმიური შედგენილობა, კლასიფიკაცია;
11. სულფიდური, ფსევდოვულკანური, საპროპელის, სფაგნუმის ტორფიანი პელოიდები, მედიცინაში გამოყენების პერსპექტივები;
12. მინერალური ნედლეული: თიხები, ფიზიკურ-ქიმიური შეფასება, მედიცინაში გამოყენების პერსპექტივები;
13. ცხოველური წარმოშობის სამკურნალო ნედლეული და ბუნებრივი პროდუქტები.
ფუტკრის ცხოველქმედების პროდუქტები: თაფლი, დინდგელი, ფუტკრის რძე, ფუტკრის შხამი, ცვილი, ყვავილის მტვერი;
14. ცხოველური წარმოშობის სამკურნალო ნედლეული და ბუნებრივი პროდუქტები
გველის შხამი, წურბელები, ღრუბელა, დოყი, ესპანური ბუზანკალა, თახვის ყაირი, მუმიო
15. ცხოველური ცხიმები და ცხიმმსგავსი ნივთიერებები, მათი შემცველი ნედლეული: თევზის ზეთი, სპერმაცეტი, ლანოლინი, ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, მედიცინაში გამოყენება;

16. ბუნებრივი ნედლეულის მიღების წესები, საანალიზო სინჯების შერჩევის მეთოდები, საშუალო და საანალიზო სინჯი;
17. სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ანალიზის მეთოდები:
მაკროსკოპული და მიკროსკოპული ანალიზი, ფოთოლების, ბალახების, ყვავილების გარეგანი ნიშნები და მიკროსკოპია, ზედაპირული პრეპარატისა და განივი ანათალის მომზადების ტექნიკის ათვისება;
18. მცენარეული ნედლეულის განივი ანათლების მომზადებისა და შეღებვის ტექნიკის ათვისება, ნაყოფების და თესლების გარეგანი ნიშნები და მიკროსკოპია. ჰისტოქიმიური და მიკროქიმიური რეაქციები;
19. მცენარეული ნედლეული განივი ანათლების მომზადებისა და შეღებვის ტექნიკის ათვისება. ქერქების, ფესვების, ფესურების, ბოლქვების, ტუბერების, ტუბერბოლქვების გარეგანი ნიშნები და მიკროსკოპია. ჰისტოქიმიური და მიკროქიმიური რეაქციები;
20. მცენარეული ნედლეულის ფიტოქიმიური და საქონელმცოდნეობითი ანალიზი, დაწვრილმანებისა და მინარევების შემცველობის განსაზღვრა. ნარჩენი სინამის, საერთო და ქლორწყალბადმუავაში უხსნადი ნაცრის განსაზღვრის მეთოდები.